

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი

26.07.2013

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ქეთევან ჯაყელი - მუნიციპალური მომსახურების უზრუნველყოფთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

ლიანა ზამბახიძე - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, (სხდომის მდივანი);

კახაბერ ერაძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ საქართველოს ბიზნესის აკადემია „SBA“-ს რექტორი, ეკონომიკის დოქტორი;

დავით მჭედლიშვილი - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღას“ დირექტორი;

ჯუმბერ გაბრიელაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი;

ალექსანდრე ეჯიბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

თამუნა ურუშაძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ავტორიზაციის მამიებელი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. დავით ხელაშვილი - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ რეუს დირექტორი;

2. ზვიად არძენაძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ რეუს იურისტი;

3. ირაკლი გომელაური - შპს - მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორი;

4. ნინო გომელაური - შპს - მარნეულის სამედიცინო კოლეჯის დირექტორის მოადგილე;

5. კობა არაბული - შპს - ტურიზმის, რეგიონული განვითარებისა და ინფორმატიკის ევროპული საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი;

6. ნათია კახნიაშვილი - შპს - ტურიზმის, რეგიონული განვითარებისა და ინფორმატიკის ევროპული საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მოადგილე;

7. გიორგი ფოფხაძე - შპს - ბარაკონის დირექტორი;

8. ნინო ბოკერია - შპს - ბარაკონის დირექტორის მოადგილე;

9. თეა ლილუაშვილი - შპს - ბარაკონის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;

10. ლევან ასათიანი - შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი;

ავტორიზაციის ექსპერტები:

- ნინო ფეტვიანიშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
- ეკატერინე ბალიშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
- მაკა კაჭარავა - ავტორიზაციის ექსპერტი;
- ნონა ზუმბაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:30 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს -საზოგადოებრივ კოლეჯ რეუს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - მარნეულის სამედიცინო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - ტურიზმის, რეგიონული განვითარებისა და ინფორმატიკის ევროპული საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - ბარაკონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

საბჭოს წევრმა ჯუმბერ გაბრიელაშვილმა მიმართა ცენტრის წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ მას ექსპერტთა დასკვნებთან ერთად არ წარდგენია კონკრეტული პროგრამების სილაბუსები. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა, ნანა ჭილაძემ აღნიშნა, რომ დაინტერესებულ მხარეს არ აკისრია ვალდებულება წარმოადგინოს სილაბუსები ცენტრში. კონკრეტული საფუძვლის არსებობისას, შესაძლებელია გამოთხოვილ იქნას დამატებითი დოკუმენტაცია დაწესებულებებიდან. ამ ეტაპზე, ცენტრში არსებული ყველა დოკუმენტი საბჭოს წევრებისთვის იყო გადაგზავნილი.

ჯუმბერ გაბრიელაშვილის თმით, ერთ-ერთ დასკვნაში დაფიქსირებული იყო, რომ დაწესებულებამ ექსპერტს არ წარუდგინა სილაბუსი. ნანა ჭილაძის განმარტებით აღნიშნული სავარაუდოდ იყო ექსპერტის მიერ დაფიქსირებული შენიშვნა რაზეც საბჭოს უნდა ემსჯელა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარემ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მდივნის არყოფნის გამო, სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დააკისრა ლიანა ზამზახიძეს.



1. შპს - საზოგადოებრივი კოლექტი რეუს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა, თუ რა კვალიფიკაციის ექსპერტები იყვნენ დაწესებულებაში ვიზიტზე. ავტორიზაციის ექსპერტმა, ეკატერინე ბალიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებასი ვიზიტად მყოფი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა იყო შემდეგნაირი - შორენა ჯაფარიძე (თავმჯდომარე); ეკატერინე ბალიშვილი (წევრი) და ეკატერინე გიგაშვილი (წევრი).

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ავტორიზაციის ექსპერტი კუნკურსის წესით, საკონკურსო კომისიის მიერ იყვნენ შერჩეულები და მათი კვალიფიკაცია იყო სრულ შესაბამისობაში. ავტორიზაციის ექსპერტები ამოწმებდნენ დაწესებულების პირობების შესაბამისობას ავტორიზაციის სტანდარტებთან, შესაბამისად, მათ, აკრედიტაციის ექსპერტებისგან განსხვავებით, კონკრეტული სპეციალობების დეტალური, ვიწრო ცოდნა არ მოეთხოვებოდათ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა, ეკატერინე ბალიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 „საზოგადოებრივი კოლექტი რეუს“-ს მისია დამტკიცებულია დაწესებულების რექტორის 2012 წლის 18 მაისის №01/04 ბრძანებით. „საზოგადოებრივი კოლექტი რეუს“-ს მისიაა დაამკვიდროს სწავლისა და სწავლების მაღალი დონე და უზრუნველყოს შრომითი ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება კვალიფიციური კადრების მომზადებით.

1.2 შპს საზოგადოებრივი კოლექტი რეუს-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია კოლექტის რექტორის 2013 წლის 5 მაისის № 01/04 ბრძანებით. პროგრამები შეესაბამება კოლექტის მისიას. პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები და მათი შესრულების კრიტერიუმები, სწავლების მეთოდები, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური ინფორმაცია საწარმოო პრაქტიკის შესახებ, დასაქმების სფეროები და სწავლის გაგრძელების საშუალება. პროგრამებს აქვთ თანმიმდევრული სტრუქტურა, პროგრამებში მოცემული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.

1.3 პროგრამებს თან ერთვის სასწავლო კურსების სილაბუსები. სილაბუსებში მოცემულია სასწავლო კურსის მიზანი, მოცულობა, სწავლის შედეგი, კურსის შინაარსი, პროფესიული სტუდენტის შეფასება, სასწავლო კურსის წინაპირობები, სწავლების მეთოდები, სავალდებულო/დამხმარე ლიტერატურა, მასწავლებელის შესახებ ინფორმაცია. ექსპერტთა ვიზიტის პროცესში დაწესებულებაში განხორციელდა სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება, რომელიც შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 28 ივნისის N206 ბრძანებით დამტკიცებული სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მოდიფიცირებულ პროფესიულ სტანდარტთან. პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების რექტორის 2013 წლის 8 ივლისი ბძანებით.

კახაბერ ერაქემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრები იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, შესაბამისად, მან სთხოვა ეკატერინე ბალიშვილს, რომ საბჭოსთვის გაეცნო მხოლოდ დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები. საბჭოს წევრმა ალექსანდრე ეჯიბიძემ აღნიშნა, რომ ჯობდა ექსპერტს დასკვნიდან წარედგინა ძირითადი ფაქტობრივი გარემოებები. ეკატერინე ბალიშვილმა განმარტა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით ექსპერტებს შენიშვნები არ ჰქონდათ დაფიქსირებული.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი რეუ ქვეიჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობდა ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირზე N 9 ბ-ში, N1 - შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე არსებულ 550 კვ. მეტრ საერთო ფართს. შენობის მეორე სართულზე განლაგებული იყო - აუდიტორიები (დაფებით, მაგიდა-მერხებით, სკამებით, პროფესორებისთვის განკუთვნილი მაგიდა-სკამებით), სააქტო დარბაზი, კომპიუტერული კლასი (9 კომპიუტერით), ბიბლიოთეკა (3 კომპიუტერით), სამკერვალო ოთახი (ორი საკერავი მანქანით და შესაბამისი ინვენტარით). პროფესიული სტუდენტებისათვის აუდიტორიებში განთავსებულია 52 ცალი 4 ადგილიანი მაგიდა, შესაბამისი რაოდენობის სკამებით, 2 ექსადგილიანი მერხი, 12 კომპიუტერის მაგიდა. სკამების საერთო რაოდენობა შეადგენდა 234-ს. ინვენტარი დაწესებულებას გადაცემული ჰქონდა შპს „რეუ - შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული უმაღლესი სასწავლებელი-კოლეჯისაგან“, საწესდებო კაპიტალში შეტანით, აუდიტის შეფასების საფუძველზე, მიღება ჩაბარების აქტით.

2.2 ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ელექტრონული კატალოგისა და ნაბეჭდი საინვენტარიზაციო წიგნის მიხედვით შეადგენდა 441 წიგნად და 72 ელექტრონულ ერთეულს. არსებული ფონდი შეესაბამებოდა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ნაწილი დაწესებულებას გააჩნდა ელექტრონული ფორმით (CD-ზე).

2.3 ვებ-გვერდი ასრულებდა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ფუნქციას.

2.4 დაწესებულებაში არსებობდა - ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (მეორე სართულზე განთავსებულია ორი ცეცხლმაქრი), თვალსაჩინო ადგილას იყო გამოკრული ევაკუაციის გეგმა. არსებობდა სამედიცინო დახმარებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, გაფორმებული იყო ხელშეკრულება დარაჯთან და ექიმთან. სამედიცინო კაბინეტში იყო პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტები.

ეკატერინე ბალიშვილმა აღნიშნა, რომ მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ექსპერტებს შენიშვნები არ ჰქონდათ დაფიქსირებული.

საბჭოს წევრი ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა რამდენ პროფესიულ პროგრამას ახორციელებდა დაწესებულება. ეკატერინე ბალიშვილმა განმარტა, რომ შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი რეუ ახორციელებდა 6 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას სურდა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 250 - ით.

კახაბერ ერაძე დაინტერესდა, თუ დაწესებულებას ჰქონდა 234 სკამი, 250 სტუდენტს როგორ განათავსებდა კოლეჯი. დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად არძენაძემ აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესი მოიცავდა საწარმოო პრაქტიკას, რომელიც მთლიანი სასწავლო პროცესის დაახლოებით 40-50% შეადგენდა. შესაბამისად, კოლეჯი ისე დაგეგმავდა სასწავლო პროცესს, რომ დაწესებულებას პროფესიული სტუდენტების განთავსების არანაირი პრობლემა არ ექნებოდა.

საბჭოს წევრმა, ჯუმბერ გაბრიელაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღებას გეგმავდა სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ რეუს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წინასწარ აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ რეუს შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა 20 მასწავლებელთან. საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსებიდან გამომდინარე დაწესებულება ითხოვდა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების 250-ით განსაზღვრას.

საბჭოს წევრმა კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებული შეფასების წესის მიხედვით, თითოეული საგნის შესწავლისას ხორციელდებოდა შეფასება 8 კომპონენტის მიხედვით (დასკვნითი და ფინალური გამოცდა, შუალედური შეფასება, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვა აქტივობები). კახაბერ ერაძე დაინტერესდა, გამოიყენებოდა თუ არა აღნიშნული შეფასების სისტემა ყველა სასწავლო კურსთან მიმართებით. ზვიად არძენაძემ განმარტა, რომ შეფასების ერთიანი წესის მიხედვით, მასწავლებელს შეეძლო რომელიმე შეფასების კომპონენტი არ გამოეყენებინა. ეკატერინე ბალიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას გაწერილი ჰქონდა, რომ მასწავლებელი კონკრეტული კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე არჩევდა შეფასების კომპონენტებს.

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების ზოგიერთ დოკუმენტაციაში მასწავლებლის ნაცვლად ნახსენები იყო ლექტორი, საბაკალაბრო პროგრამა. მისი მოსაზრებით, აღნიშნული წარმოადგენდა ტექნიკური ხასიათის ხარვეზს და საჭიროებდა გამოსწორებას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული შენიშვნა იყო ტექნიკური ხასიათის და აუცილებლად გამოასწორებდნენ.

საბჭოს წევრის, კახაბერ ერაძის განმარტებით, დაწესებულების დოკუმენტაციაში მოცემული უნდა ყოფილიყო რეგულაცია, რომლის მიხედვითაც ბიბლიოთეკაში ქცევის წესების დამრღვევ პირებს დაედებოდათ შესაბამისი დისციპლინური სახდელები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულის თაობაზე შესაბამის რეგულაციას მოიცავდა დაწესებულების შინაგანაწესი. თუმცა, ზვიად არძენაძის განმარტებით, რომც არ ყოფილიყო ჩამოთვლილი სახდელის სახეები შინაგანაწესში,

დაწესებულება იხელმძღვანელებდა ზოგადი კანონმდებლობით. კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტს კანონმდებლობის ცოდნა არ ევალებოდა. ზვიად არძენაძემ აღნიშნა, რომ არსებობდა დათქმა, რომლის მიხედვითაც, თუ კონკრეტული რეგულაცია არ იყო გაწერილი დაწესებულებაში, მაშინ მოქმედებდნენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმები.

საბჭოს წევრი ალექსანდრე ეჯიბაძე დაინტერესდა, 2 საკერავი მანქანით რამდენი პროფესიული სტუდენტის სწავლებას განახორციელებდა დაწესებულება. ეკატერინე ბალიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, სამკერვალო ნაწარმის პროფესიული პროგრამაზე ისწავლიდა დაახლოებით 10 პროფესიული სტუდენტი.

საბჭოს წევრი ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა, თუ რამ განაპირობა ის, რომ დაწესებულების სურვილი იყო განხორციელებინა სხვადასხვა სფეროს პროფესიული პროგრამები, მაგალითად - მცირე ბიზნესის მწარმოებლის და სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

დაწესებულების წარმომადგენელმა ზვიად არძენაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება გეგმავდა 5 მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას. პროგრამების უმრავლესობა შედგებოდა 60 კრედიტისგან. ზვიად არძენაძის განმარტებით, შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ რეუს აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის ჰქონდა შესაბამისი რესურსები.

საბჭოს წევრმა, ლიანა ზამბახიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დასკვნის მიხედვით დაწესებულებას საწარმოო პრაქტიკის განხორციელებისთვის გაფორმებული ჰქონდა შესაბამისი მემორანდუმები. მოცემულ შემთხვევაში კოლეჯი 2 საკერავ მანქანას მხოლოდ თეორიულ სწავლებისთვის გამოიყენებდა თუ აღნიშნული ინვენტარი გათვალისწინებული იქნებოდა პრაქტიკული მეცადინეობებისთვისაც?

ზვიად არძენაძემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტებმა ადგილზე ნახეს დაწესებულების, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ისე მატერიალური რესურსი და ორივე მათგანი დასკვნის მიხედვით დადებითად იყო შეფასებული. ლიანა ზამბახიძის მოსაზრებით, თეორიული სწავლებისთვის საკმარისი იყო 2 საკერავი მანქანა, პრაქტიკული მეცადინეობისთვის კი - არა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები გაივლიდნენ საწარმოო პრაქტიკას სხვადასხვა ობიექტებში. შესაბამისად, შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ რეუსა და პრაქტიკის ობიექტებს შორის გაფორმებული იყო სათანადო ხელშეკრულებები.

საბჭოს წევრმა დავით მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ საწარმოო პრაქტიკის ობიექტში მისვლამდე პროფესიულ სტუდენტს უნდა ჰქონოდა შესაბამისი პრაქტიკული ცოდნა. მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს საბჭოსთვის განემარტა, თუ როგორ აპირებდა დაწესებულება მისი მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მაგალითად 12 კომპიუტერით, ესწავლებინა ინფორმაციული ტექნოლოგიის, კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. ალექსანდრე ეჯიბაძე დაინტერესდა, თუ რა კვალიფიკაციის მასწავლებელი ასწავლიდა დაწესებულებაში კერვას. ეკატერინე ბალიშვილმა აღნიშნა, რომ ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტებს შენიშვნა არ ჰქონდათ დაფიქსირებული. აქედან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდებოდა სათანადო კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მიერ.

ჯუმბერ გაბრიელაშვილმა კითხვით მიმართა ავტორიზაციის ექსპერტს, ვის საკუთრებაში იყო ის შენობა, სადაც განთავსებული იყო შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი რეუ. ეკატერინე ბალიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი რეუ ქვეიჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობდა ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირზე N9 ბ-ში, N1 - შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე არსებულ 550 კვ.მ. საერთო ფართს. შენობის მეიჯარე იყო - შპს - რეუ შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული უმაღლესი სასწავლებელი-კოლეჯი, ხოლო მესაკუთრეები იყვნენ ფიზიკური პირები: ამირან ფერაძე, ენვერ მუჯირი და დავით ჯაფარიძე. ქვეიჯარის ხელშეკრულების მოქმედების საბოლოო ვადა იყო 01.02.2018 წ.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე 20:17 საათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 21:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოს წევრებს დაწესებულების წარმომადგენლებთან ჰქონდათ დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრმა კახაბერ ერაძემ აღნიშნა რომ ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, დაწესებულება გეგმავდა განეხორციელებინა 3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც დაკავშირებული იყო კომპიუტერულ პროგრამირებასთან. დასკვნის მიხედვით კი დაწესებულებას ჰქონდა 9 კომპიუტერი. კახაბერ ერაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, აღნიშნული კომპიუტერები გამოიყენებოდა უშუალოდ პროფესიული სტუდენტების სწავლებისთვის, თუ ზოგიერთი მათგანი განთავსებული იყო კოლეჯის ადმინისტრაციის ოთახებში. ავტორიზაციის ექსპერტმა ეკატერინე ბალიშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას სულ ჰქონდა 12 კომპიუტერი, აქედან 9 განთავსებული იყო კომპიუტერულ კლასში, 3 კი - ბიბლიოთეკაში.

საბჭოს წევრი ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა შეამოწმეს თუ არა ექსპერტებმა კომპიუტერების ტექნიკური მონაცემები. ეკატერინე ბალიშვილმა აღნიშნა, რომ საავტორიზაციო ვიზიტის ხანგრძლივობიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო თითოეული კომპიუტერის ტექნიკური მახასიათებლების შემოწმება, ამასთან ავტორიზაციის სტანდარტი აღნიშნულის შემოწმებას არ ითვალისწინებდა. ეკატერინე ბალიშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტებმა გადაამოწმეს დაწესებულების მიერ მატერიალური რესურსების ფლობის კანონიერება და შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული. ზვიად არძენაძემ აღნიშნა, რომ კომპიუტერების რაოდენობა საკმარისი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ რეუს ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ რეუს (საიდენტიფიკაციო კოდი: 406069169) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250-ით.

შენიშვნა: შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ რეუსთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა: ჯუმბერ გაბრიელაშვილმა.



2. შპს - მარნეულის სამედიცინო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა, თუ რა სპეციალობა ჰქონდათ დაწესებულებაში ვიზიტად მყოფ ექსპერტებს. ავტორიზაციის ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა განმარტა, რომ შპს - მარნეულის სამედიცინო კოლეჯში საექსპერტო ვიზიტი განახორციელეს - ნატო ალავიძემ (თავმჯდომარე); თეა შაყულაშვილმა (წევრი) და ნინო ფეტვიაშვილმა (წევრი).

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ ყველა ექსპერტი კუნკურსის წესით, საკონკურსო კომისიის მიერ იყო შერჩეული და მათი კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაში იყო. ნანა ჭილაძემ განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, როდესაც ზოგადი ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას დამატებით ენიჭებოდა უფლებამოსილება განეხორციელებინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მხოლოდ ამ შემთხვევაში, ჯგუფის შემადგენლობაში ერთი წევრი აუცილებლად უნდა ყოფილიყო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტი. მოცემულ შემთხვევაში კი იხილებოდა შპს - მარნეულის სამედიცინო კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭების საკითხი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ჯგუფის წევრმა, ნინო ფეტვიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებზე:

შპს "მარნეულის სამედიცინო კოლეჯი," მარნეულში, 26 მაისის ქუჩა №80-ში, „მარნეულის სარაიონოთაშორისო საავადმყოფოსთან“ გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე ფლობდა 560 კვ.მ ფართს. აღნიშნულ ფართში განთავსებული იყო სასწავლო აუდიტორიები, სასწავლო პრაქტიკის ოთახები, ბიბლიოთეკა, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისათვის განკუთვნილი ოთახები.

დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
---	----------------------	--------------------------------	--------------------------------------	----------------------

1	მოლარეს პროფესიული პროგრამა	მეორე	მოლარეს მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
2	მოლარეს პროფესიული პროგრამა	მესამე	მოლარეს მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
3	ექთნის თანაშემწის პროფესიული პროგრამა	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90
4	ექთნის თანაშემწის პროფესიული პროგრამა (რუსულენოვანი)	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90
5	კბილის ტექნიკოსის პროფესიული პროგრამა	მესამე	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
6	კბილის ტექნიკოსის პროფესიული პროგრამა	მეოთხე	კბილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
7	კბილის ტექნიკოსის პროფესიული პროგრამა	მეხუთე	კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
8	პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული პროგრამა	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	150
9	პრაქტიკოსი ზებია-ქალის პროფესიული პროგრამა	მეხუთე	პრაქტიკოსი ზებია-ქალის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120
10	ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული პროგრამა	მეხუთე	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120

პროფესიული პროგრამების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები შესაბამის ბაზებთან.

შპს - მარნეულის სამედიცინო კოლეჯის კუთვნილი ფართი, აღჭურვილი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი სასწავლო ინვენტარით კერძოდ, სასწავლო მაგიდა - 116 (ასთექსმეტი), სკამი -

129 (ასოცდაცხრა), დაფა - 10 (ათი), კომპიუტერი - 15 (თხუთმეტი), კომბაინი - პრინტერი, სკანერი, ქსეროქსი - 2(ორი), პრინტერი - 2 (ორი), დაწესებულებას ჰქონდა სასწავლო პროგრამების შესაბამისი ლაბორატორიები (ქიმიის), მოწყობილი იმიტირებული პალატები, შესაბამისი მულაჟებით.

დაწესებულების 31 პროფესიულ მასწავლებელთა შორის 2 აკადემიური ხარისხის მფლობელი იყო. პირადი საქმეების და პროფესიული სტანდარტების მოთხოვნების, ასევე პროგრამების შედარებით დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდებოდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მიერ. პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლების თანაფარდობა – 180 სტუდენტი/ 31 მასწავლებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრს, იყო თუ არა ავტორიზაციის რომელიმე სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნა. ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა, თუ რა რაოდენობის მატერიალური რესურსი ჰქონდა დაწესებულებას. ნინო ფეტვიაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას ჰქონდა სასწავლო პროგრამების შესაბამისი ლაბორატორიები, რომლებიც მოწყობილი იყო იმიტირებული პალატებითა და შესაბამისი მულაჟებით. ავტორიზაციის ექსპერტმა აღნიშნა, რომ შპს - მარნეულის სამედიცინო კოლეჯის სათანადო ინვენტარით აღჭურვილი ფართი პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისთვის იყო საკმარისი. ავტორიზაციის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს დაწესებულებაში ირიცხებოდა 180 პროფესიული სტუდენტი.

ავტორიზაციის საბჭოს წევრი ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა, თუ რა კვალიფიკაციის მასწავლებლები ასწავლიდნენ მოლარის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ადამიანური რესურსი შერჩეული ჰყავდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მათი კვალიფიკაცია შეესაბამებოდა, როგორც ავტორიზაციის, ასევე კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოლარის პროფესიულ პროგრამაზე მაგალითად ასწავლიდა საბანკო საქმის ბაკალავრის ხარისხის მქონე პირი, რომელსაც ჰქონდა ეკონომისტად მუშაობის 2 წლიანი გამოცდილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ ზოგიერთ მასწავლებელს შესაბამის სფეროში ჰქონდა 20-30 წლიანი პედაგოგიური გამოცდილება. შესაბამისად, შპს - მარნეულის სამედიცინო კოლეჯის პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაცია შესაბამისობაში იყო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

საბჭოს წევრი, ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა, სხვა რა თვალსაჩინოებები ჰქონდა დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას სწავლებისთვის შეძენილი ჰქონდა შესაბამისი აპარატურა, ფულის მულაჟები. პროფესიული სტუდენტები მე-2 სემესტრიდან ასევე ისწავლიდნენ ფულის კონვერტაციას. ჯუმბერ გაბრიელაშვილის მოსაზერებით, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იყო სრულიად მისაღები.

ჯუმბერ გაბრიელაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რამ განაპირობა ის გარემოება, რომ სამედიცინო პროფილის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად დაწესებულების სურვილი იყო განეხორციელებინა მოლარის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიც. დაწესებულების წარმომადგენელმა

განმარტა, რომ მათ ჩაატარეს კვლევები და დადგინდა, რომ აღნიშნულ პროგრამებზე არსებობდა პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნა.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ერაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, იყო თუ არა მოლარის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოდიფიცირებული სტანდარტის შესაბამისად. ავტორიზაციის ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ შპს - მარნეულის სამედიცინო კოლეჯის მიერ წარმოდგენილ იქნა ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, კერძოდ - მოლარის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც დამკვიცებული იყო კოლეჯის დირექტორის 2013 წლის 01 ივლისის №21 ბრძანებით.

კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ მოდიფიცირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით არსებობდა შენიშვნები. კახაბერ ერაძის განმარტებით, ექსპერტთა დასკვნის თანახმად, პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაცია ფორმულირებული იყო შემდეგნაირად: მოლარის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, ხოლო მოლარის (ბანკის და ა/შ) პროფესიული სტანდარტის თანახმად, ის რაც ასახულია ფრჩხილებში, ანუ (ბანკის და ა/შ) ასევე უნდა ასახულიყო მისანიჭებელ კვალიფიკაციაში, ვინაიდან ის მთლიანობაში წარმოადგენდა კვალიფიკაციის შემადგენელ ნაწილს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტანდარტის ცვლილების გამო, პროგრამის მოდიფიცირება მოხდა 1 კვირის განმავლობაში, შესაბამისად, აღნიშნული ხარვეზი წარმოადგენდა ტექნიკური ხასიათის შენიშვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოლარის დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში კვალიფიკაცია სწორად იყო მითითებული.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ პროფესიული სტანდარტების დამტკიცება მოხდა შემჭიდროვებულ ვადებში, შესაბამისად, დაწესებულებებს დაჩქარებულ რეჟიმში მოუხდათ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება. კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებებს დაჩქარებული წესით მოუხდათ ზოგიერთი პროფესიული პროგრამის მოდიფიცირება, აღნიშნული შენიშვნა იყო არაარსებითი ხასიათის. საგულისხმო იყო ის გარემოება, რომ მოცემული შენიშვნები იყო გამოსწორებული.

კახაბერ ერაძე დაინტერესდა, რითი იყო გამოწვეული პროგრამის სასწავლო გეგმასა და სილაბუსებში არსებული შეუსაბამობები. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული შენიშვნებიც იყო ტექნიკური ხასიათის და ყველა მათგანი იყო გამოსწორებული. კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ საბჭო უფლებამოსილი არ იყო მხედველობაში მიეღო ავტორიზაციის მამიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა ვიზიტის შემდეგ. თუმცა, ვინაიდან დაწესებულებას რიგ დოკუმენტებში სწორად ჰქონდა მითითებული მონაცემები, მაშინ აღნიშნული შენიშვნაც შესაძლოა ჩათვლილიყო არაარსებითად.

კახაბერ ერაძე დაინტერესდა წინაპირობებთან დაკავშირებულ შენიშვნებზე. კერძოდ, საინფორმაციო ტრენოლოგიების სილაბუსის წინაპირობად მითითებული იყო ვინდოუსისა და ექსელის სათანადო დონეზე ცოდნა.

წინაპირობებთან დაფიქსირებულ შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ოპერატორი, რომელიც აერთიანებდა პროგრამებს და სილაბუსებს, ტექნიკურად დაუშვა აღნიშნული შენიშვნა. კახაბერ ერაძის მოსაზრებით, ვინაიდან დაჩქარებულ დროში, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოუხდათ დაწესებულებებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება,

აღნიშნული სახის ტექნიკური შენიშვნები დაწესებულებას საპატიოდ უნდა ჩათვლოდა. ამასთან, კახაბერ ერაქემ აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში ცენტრს უფლება ჰქონდა გადაემოწმებინა დაწესებულებები და დაედგინა მათი პირობების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან.

საბჭოს წევრი ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა, მოდიფიცირებამდე რამდენ კრედიტიანი იყო მოლარის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თითო საფეხური იყო 30 კრედიტიანი. მოდიფიცირების შემდგომ კი პროგრამა გახდა 60 კრედიტიანი.

საბჭოს წევრი ალექსანდრე ეჯიბაძე დაინტერესდა, ცნობილი იყო თუ არა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის მოდიფიცირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით შედგენილი ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასკვნა ჩაბარდათ 2013 წლის 26 ივლისს. ალექსანდრე ეჯიბაძე დაინტერესდა, თუ საბჭოს სხდომის დღეს ჩაბარდა დაწესებულებას დასკვნა, როგორ გამოასწორეს მათ დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზები. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მათ დამოუკიდებლად აღმოაჩინეს დაფიქსირებული შენიშვნები და დასკვნის ჩაბარებამდე გამოასწორეს ყველა მათგანი.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულების სურვილი იყო პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 230-ით განსაზღვრა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მარნეულის სამედიცინო კოლეჯის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 230-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - მარნეულის სამედიცინო კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 234158498) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 230-ით.

შენიშვნა: შპს - მარნეულის სამედიცინო კოლეჯისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა: ჯუმბერ გაბრიელაშვილმა.

3. შპს - ტურიზმის, რეგიონული განვითარებისა და ინფორმატიკის ევროპული საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა დაწესებულებაში ვიზიტით მყოფი ექსპერტთა ჯგუფის წევრმა მაკა კაჭარავამ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზებზე. მაკა კაჭარავას განცხადებით თავდაპირველად დაწესებულებას ჰქონდა 34 პროფესიული პროგრამა. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ, შეიცვალა პროფესიული სტანდარტები, რის საფუძველზეც დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა 5 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოლარის (ბანკის და ა.შ), საბაჟო დეკლარირების სპეციალისტის, გიდის (გეოტურიზმის და ა.შ.), ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტის), დეკორატიული - გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2013 წლის 09 ივლისის №01/004-13 ბრძანებით.

1.1 პროგრამათა ნაწილი, კერძოდ: მოლარე (ბანკის და. ა.შ), ტუროპერატორის, დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის, კრიმინალისტის, საბაჟო (სასაქონლო) დეკლარირების, გიდის პროგრამები, რომლებიც პროფესიული სტანდარტის თანახმად მოიცავს რამდენიმე საფეხურს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ერთიანი პროგრამის სახით:

- რამდენიმე საფეხური გაერთიანებულია ერთ პროგრამაში, მისანიჭებელ კვალიფიკაციად მითითებულია ბოლო საფეხურის პროგრამის კვალიფიკაცია, ხოლო წინა საფეხურის მისანიჭებელი კვალიფიკაციები მითითებულია შუალედური კვალიფიკაციების სახით.
- გაერთიანებულ პროგრამებში გამოკვეთილი არ არის თითოეული საფეხურის მიზანი, ის ჩამოყალიბებულია ერთიანი მიზნის სახით.
- სწავლის შედეგები ასევე არ არის განსაზღვრული თითოეული საფეხურის მიხედვით. ზოგ შემთხვევაში, წარმოდგენილია ერთიანი შედეგების სახით, ზოგ შემთხვევაში მხოლოდ ბოლო საფეხურისთვის გათვალისწინებული შედეგების სახით.
- პროგრამებზე დაშვების წინაპირობა ერთიანია და არ არის დიფერენცირებული საფეხურების მიხედვით.

დაწესებულების წარმომადგენლის კობა არაბულის განცხადებით, ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა აპრილში, რის შემდეგაც დაწესებულებამ ყველა შენიშვნა გაითვალისწინა და გამოასწორა. კობა არაბულის თქმით, პროგრამები ჩაიშალა რამდენიმე საფეხურად, ასევე გათვალისწინებულ იქნა სტანდარტების მოდიფიცირების შედეგები და შესაბამისი საფეხურის პროგრამები ასევე გაერთიანდა.

საბჭოს წევრი კახაბერ ერაძე დაინტერესდა, იყო თუ არა პროგრამები წარმოდგენილი ცალ-ცალკე საფეხურებად.

კობა არაბულმა განმარტა, რომ პროგრამები იყო შექმნილი იმ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ საფეხურები იყო გაერთიანებული და წარმოდგენილი ერთ პროგრამად.

1.2 პროგრამებში წარმოდგენილი მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება სრულად არ შეესაბამება პროფესიულ სტანდარტებს. მაკა კაჭარავის განმარტებით, სტანდარტში პირდაპირ არის მითითებული თუ რა კვალიფიცია უნდა მიენიჭოს კურსდამთავრებულს.

კახა ერაძის თქმით შესაძლებელია, აღნიშნული არსებით ხარვეზად არ ყოფილიყო გათვალისწინებული.

კობა არაბულის განმარტებით მათ კვალიფიკაციები პროგრამებში სწორად ჰქონდათ მითითებული.

ჯუმბერ გაბრიელაშვილის განმარტებით ის რვა წელია იბრძოდა, იმისთვის, რომ მსგავსი კვალიფიკაციები სტანდარტში არ ყოფილიყო დაფიქსირებული.

ექსპერტმა, მაკა კაჭარავამ განმარტა, რომ კვალიფიკაციებთან დაკავშირებული ხარვეზი, თითქმის ყველა პროგრამაში მეორდება.

კახა ერაძემ აღნიშნა, რომ პროგრამით გათვალისწინებულ კვალიფიკაციაში „შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციის“ არ მითითება ნაკლებ პრობლემას ქმნიდა. პრობლემა გახლდათ, კვალიფიკაციაში დიპლომირებული სპეციალისტის მითითება.

ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა, თუ სად უნდა დასაქმებულიყო კრიმინალისტის მესამე საფეხურის პროგრამის კურსდამთავრებული.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კურსდამთავრებულს შეეძლო შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმება.

1.3 ხშირ შემთხვევაში 6-ვე უნარი არ არის გაწერილი პროგრამებში, თუმცა სტანდარტი და პროფესიულ კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩო ითვალისწინებს 6-ვე უნარის გამომუშავებას. (მაგ: კომუნიკაციის, სწავლის, ღირებულებების უნარები).

1.4 პროგრამებში პრაქტიკული და თეორიული ნაწილის თანაფარდობა დარღვეულია, კერძოდ პროგრამათა უმეტესობაში პრაქტიკული კომპონენტის საკრედიტო მოცულობა ბევრად ნაკლებია პროფესიულ სტანდარტებით დაწესებულ მოთხოვნებზე.

ალექსანდრე ეჯიბაძე დაინტერესდა, თუ რა იგულისხმებოდა აღნიშნულში უფრო კონკრეტულად.

მაკა კაჭარავას განმარტებით, სტანდარტით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტი არ არის სრულყოფილად ასახული პროგრამებში. კერძოდ, დაწესებულებას პრაქტიკაში მოაზრებული აქვს ზოგიერთი ისეთი საგნის პრაქტიკული მეცადინეობა, რომელიც სპეციალობის კომპონენტს არ წარმოადგენს, რაც თავისთავად ვერ უზრუნველყოფს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებას.

კობა არაბულის განმარტებით, ექსპერტთა ყველა შენიშვნა გათვალისწინებულ იქნა. ერთადერთი პროგრამა, რომელშიც არ იყო გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტისათვის 40% გახლდათ გიდის პროგრამა. კობა არაბულმა აღნიშნა, რომ ის როგორც ამ დარგის ექსპერტი შეუძლებლად მიიჩნევდა პროგრამაში ამ რაოდენობით პრაქტიკის გამოყენებას.

ჯუმბერ გაბრიელაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო გაეთვალისწინებინა პროფესიულ სტუდენტების პრაქტიკა პროფესიონალ გიდებთან.

კობა არაბულის განმარტებით პროგრამაში დრო არ რჩებოდა თეორიული კურსების სრულყოფილად სწავლებისთვის. ამ ეტაპზე მიმდინარეობდა, სტანდარტზე მუშაობა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ამ პირობების გათვალისწინება.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ სტანდარტებზე მუშაობა, რა თქმა უნდა გაგრძელებულიყო, თუმცა, პროგრამები ამ ეტაპზე უნდა შედგენილიყო მოქმედი სტანდარტის მიხედვით.

1.5 არასწორადაა გაანგარიშებული პრაქტიკისათვის გამოყოფილი საათების საერთო რაოდენობა, რაც არ შეესაბამება პროფესიული განათლების კრედიტებით გაანგარიშების წესს. (მაგ. 10 კრედიტიანი პრაქტიკის 250 საათიდან გამოყოფილია მხოლოდ 100 საათი).

1.6 ბევრ პროგრამაში არ არის წარმოდგენილი სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის სილაბუსები.

მაკა კაჭარავას განმარტებით, საათების დანარჩენი ნაწილი გათვალისწინებული იყო დამოუკიდებელი მუშაობისათვის. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, პრაქტიკული კომპონენტი დამოუკიდებელ მუშაობას არ მოიცავს. ასევე არ იყო წარდგენილი რამდენიმე საგნის სილაბუსი.

კახაბერ ერაძე დაინტერესდა, რაიმე სხვა დოკუმენტში ხომ არ იყო გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტი.

კობა არაბულმა განმარტა, რომ ვიზიტის დროს არ იყო სილაბუსი, რაც ეხლა უკვე გასწორებული იყო.

1.7 პროგრამებში გამოყენებულია ტერმინები „დიპლომირებული სპეციალისტი“, „ძირითადი სპეციალობა“, რაც არ შეესაბამება პროფესიულ კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოს.

1.8 ზოგიერთ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არ შეესაბამება პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 თავის 10/1 მუხლის 3 პუნქტს, რომლის თანახმად IV საფეხურზე, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – V საფეხურზე, ჩარიცხვისათვის სავალდებულო ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობა დასტურდება ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის შედეგების საფუძველზე, პროგრამებში კი დაშვების წინაპირობა ითვალისწინებს სრულ საშუალო განათლებას. (მაგალითად, ფოტოგრაფის მეოთხე საფეხურის პროგრამა, ბუღალტრის მეოთხე საფეხურის პროგრამა).

1.9 პროგრამების ნაწილში ყველა საფეხური არ ითვალისწინებს პროფესიული სტანდარტით კომუნიკაციის უნარში განსაზღვრული საინფორმაციო ტექნოლოგიების შესწავლას (მაგ., დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის პროგრამა, გილის და ტუროპერატორის პროგრამები).

კობა არაბულის განმარტებით, საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლება ყველა პროგრამაში იყო გათვალისწინებული, საუბარი იყო უფრო ტექნიკურ ხარვეზთან.

1.10 ზოგიერთი პროგრამის სილაბუსებში საგანზე დაშვების წინაპირობად მითითებულია სრული საშუალო განათლება (მაგ. ფოტოგრაფის მე-4 საფეხურის პროგრამაში)

1.11 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის და სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესების მიზნით კოლეჯში არსებობს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული-ხარისხის მართვის დეპარტამენტი, რომლიც ფუნქციები გაწერილია დებულების მე-9 მუხლში თუმცა ამ ეტაპზე ხარისხის გასაუმჯობესების მიზნით რაიმე კონკრეტული მექანიზმი არ არის შემუშავებული.

კობა არაბულის განმარტებით, თავდაპირველად წესდებაში რისი გათვალისწინებაც შეიძლებოდა იყო გათვალისწინებული. თუმცა ექსპერტების შენიშვნები გათვალისწინებულ იქნა და გასწორდა ხარვეზები.

2.1 ბიბლიოთეკის გადამოწმების შედეგად დადგინდა: სილაბუსებში მითითებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა არ ფიქსირდება კოლეჯის საკუთრებაში. დაწესებულებამ წარმოადგინა 2013 წლის 20 თებერვლის თხოვების ხელშეკრულება №01/002-13, სადაც „გამნათხოვებელი“ არის თბილისის საბაზრო ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი“.

კობა არაბულის განმარტებით, წიგნები იყო სხვა დაწესებულების საკუთრება, რასთან დაკავშირებითაც გაკეთდა შესაბამისი იურიდიული დოკუმენტი.

კახა ერაძემ იურიდიული განმარტებისათვის მიმართა ცენტრის წარმომადგენელს.

გიორგი ცხვედიანმა აღნიშნა, რომ თხოვების ხელშეკრულება თავისი შინაარსით არის დროებითი ხელშეკრულება, რის ფარგლებშიც „განმათხოვრებელს“ ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს საკუთრების უკან დაბრუნება.

ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა, თუ რატომ არ იყო უზუფრუქტის ხელშეკრულება გაფორმებული.

გიორგი ცხვედიანის განმარტებით, უზუფრუქტის ხელშეკრულება ფორმდება უძრავ ქონებასთან მიმართებით.

კობა არაბულმა აღნიშნა, რომ მათ წიგნების ნაწილი საკუთრებაში ჰქონდათ, ხოლო ნაწილი ჰქონდათ აღებული თხოვების ხელშეკრულებით. ამ ეტაპზე სტუდენტი კოლეჯში არ ირიცხებოდა. წიგნების აღნიშნული წესით გადაცემის უფლებამოსილებას საქართველოს კანონმდებლობა იძლეოდა, შესაბამისად მასზე უარს ვერ იტყოდა კოლეჯი.

2.2 სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებიდან კოლეჯს ამ ეტაპზე არ ჰყავს საშტატო განრიგით დანიშნული ექთანი, არ გააჩნია სამედიცინო კაბინეტი, კოლეჯმა წარმოადგინა მხოლოდ პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭიარი მედიკამენტები.

2.3 დაწესებულება მდებარეობს შენობის მეორე სართულზე, კიბეებზე არ არის დამონტაჟებული პანდუსი, ამ ეტაპზე ადაპტირებული გარემოს კუთხით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მიმდინარეობს ლიფტის შეკეთება, რომელიც მომავალში გამოყენებული იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. ასევე არსებობს ცალკე სველი წერტილი, სადაც მხოლოდ ერთ ადგილზე უნიტაზის გვერდით კედელზე დამონტაჟებულია ერთი მოაჯირი.

მაკა კაჭარავამ საბჭოს გააცნო მოდიფიცირებულ პროგრამებთან დაფიქსირებული ხარვეზები. ექსპერტის განმარტებით, პროგრამების შესაბამისი სასწავლო კურსები (სილაბუსები) არ იყო წარმოდგენილი.

პროგრამების გადამოწმების შედეგად გამოიკვეთა შემდეგის სახის ხარვეზები:

3.1 ყველა პროგრამაში დარღვეულია პროგრამის მიმართ წაყენებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა და სტანდარტი, კერძოდ: მისანიჭებელი კვალიფიკაციები, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა, კრედიტების განაწილება თეორიისა და პრაქტიკის კომპონენტებს შორის, რომლებიც არ იძლევა სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის შესაძლებლობას, სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის ხვედრითი წილი პროფესიული სტანდარტის მიხედვით და სხვ.

3.2 მაგ. გიდის პროგრამა, რომელიც პროფესიული სტანდარტის თანახმად მოიცავს ორ საფეხურს (III, IV), დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა ერთიანი პროგრამის სახით, მხოლოდ სწავლის შედეგებია გაწერილი ცალკეული საფეხურისთვის, პროგრამის დანარჩენი პუნქტები და კრიტერიუმები არის ერთიანი, რაც არ შეესაბამება პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ მიზნებსა და მისაღწევ შედეგებს, ვინაიდან თითოეული საფეხური ითვალისწინებს საკუთრივ მიზანს, სწავლის შედეგს, დაშვების წინაპირობას, დასაქმების სფეროს და ა.შ. გიდის პროგრამაში წარმოდგენილი მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება სრულად არ შეესაბამება პროფესიულ სტანდარტებს: მე-3 საფეხურის კვალიფიკაცია ფორმულირებულია შემდეგნაირად-ადგილობრივი გიდი ნაცვლად მესამე საფეხურის გიდის (ადგილობრივი გიდის პროფესიული კვალიფიკაციისა, ხოლო მე-4 საფეხურის კვალიფიკაცია-სპეციალიზებული გიდი ნაცვლად მეოთხე საფეხურის გიდის /სპეციალიზებული გიდის პროფესიული კვალიფიკაციისა. დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის-ხალიჩის მქსოველის სპეციალისტი, ხოლო სტანდარტის თანახმად ასეთი კვალიფიკაცია არ არსებობს და უნდა იყოს- დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

3.3 პროგრამებში პრაქტიკული და თეორიული კომპონენტების თანაფარდობა დარღვეულია, პრაქტიკული კომპონენტის ხვედრითი წილი ბევრად ნაკლებია პროფესიული სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებზე. მაგ. გიდის მესამე საფეხურის 60 კრედიტიან პროგრამაში სტანდარტის თანახმად კრედიტების 40% ეთმობა სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას, რაც რაოდენობრივად შეადგენს 24 კრედიტს, პროგრამაში კი პრაქტიკისათვის გამოყოფილია მხოლოდ 10 კრედიტი, ანალოგიური სიტუაციაა სხვა პროგრამებშიც: გიდის მე-4 საფეხურის 40 კრედიტიან პროგრამაში პრაქტიკას ეთმობა 5 კრედიტი ნაცვლად 16 კრედიტისა; დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიულ პროგრამაში სტანდარტის თანახმად გათვალისწინებულია არანაკლებ 60 % პრაქტიკული კომპონენტისათვის, კოლეჯის მიერ წარმოდგენილ 60 კრედიტიან პროგრამაში მხოლოდ 25 კრედიტი ეთმობა პრაქტიკას ნაცვლად 36 კრედიტისა.

3.4 ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტის) პროგრამა სწავლის შედეგებში არ ითვალისწინებს ღირებულების კომპეტენციის გამომუშავებას, რაც არ უზრუნველყოფს პროფესიული სტანდარტითა და პროფესიულ კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს მიხედვით სწავლის შედეგების სრულად მიღწევას.

კახა ერაძემ იკითხა, იყო თუ არა ეს პროგრამები წარმოდგენილი ცენტრში ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ?

კობა არაბულმა განმარტა, რომ პროგრამები წარდგენილ იქნა ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ.

კახაბერ ერაძე დაინტერესდა, რატომ განმეორდა ხარვეზები?

კობა არაბულმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ახალ დასკვნა მოდიფიცირებულ პროგრამებთან დაკავშირებით მიიღო ერთი საათის წინ და დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზებს არ ეთანხმებოდა. გარდა გიდის პროგრამისა, რასთან დაკავშირებითაც, მას როგორც დარგის ექსპერტს განსახვავებული მოსაზრებები ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენი დრო ჰქონდა დაწესებულებას, ექსპერტების დასკვნებს, შორის, რათა იგივე ხარვეზები არ განმეორებულიყო.

კობა არაბულის განმარტებით 2 თვე.

22:44 საბჭოზე გამოცხადდა შესვენება.

22.52 საბჭოს სხდომა განახლდა.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში დაფიქსირებული იყო უამრავი ხარვეზი, მათ შორის ისეთები, რომლებიც არსებით ხარვეზებს წარმოადგენდა. კერძოდ, პროგრამები უნდა ყოფილიყო ცალ-ცალკე საფეხურების მიხედვით წარმოდგენილი და არა გაერთიანებული სახით. პროგრამაში გათვალისწინებულ მისანიჭებელ კვალიფიკაციაში არ უნდა ყოფილიყო მითითებული დიპლომირებული სპეციალისტი. პრაქტიკის კომპონენტი არ უნდა ყოფილიყო საერთო მოცულობის 40% ნაკლები, ასევე განიმარტა, რომ ინფორმაციულ ტექნოლოგიებში გათვალისწინებული პრაქტიკული მეცადიენობა, ვერ ჩაითვლება, პრაქტიკის კომპონენტად. არ იყო წარმოდგენილი ყველა პროგრამის სილაბუსი. ერთ-ერთ პროგრამაში არ ისწავლებოდა საინფორმაციო ტექნოლოგიები. ერთ-ერთ პროგრამაში გათვალისწინებული საგნების წინაპირობები არ იყო სწორად წარმოდგენილი. კახა ერაძემ აღნიშნა, ასევე გასათვალისწინებელი იქნებოდა წიგნების ფლობასთან დაკავშირებული ხარვეზი, რადგანაც ეს წიგნები ბიბლიოთეკის კატალოგში არ იყო ასახული. აგრეთვე ხარვეზად რჩებოდა პანდუსის არ არსებობა.

საბჭოს თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ ვიზიტის შემდგომ წარმოდგენილ დოკუმენტაციას საბჭო ვერ გაითვალისწინებდა. თავმჯდომარის განმარტებით, აღნიშნულ დაწესებულებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იქნებოდა წარმოდგენილი არგუმენტაცია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ტურიზმის, რეგიონული განვითარებისა და ინფორმაციის ევროპული საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ტურიზმის, რეგიონული განვითარებისა და ინფორმაციის ევროპულ საზოგადოებრივ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404399334) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

შენიშვნა: საბჭოს წევრმა, ჯუმბერ გაფრინდასვილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს დაწესებულება იყო ერთადერთი, რომელსაც მისცემდა ხმას, ის დღევანდელ საბჭოზე, საკითხთან დაკავშირებით არასრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით შეინარჩუნებდა მიდგომას და მხარს არ დაუჭერდა დაწესებულების ავტორიზაციის საკითხს.

4. შპს - ბარაკონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა დაწესებულებაში ვიზიტით მყოფი ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ნონა ზუმბაძემ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებზე.

ექსპერტის, ნონა ზუმბაძის, განცხადებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული არ იყო შენიშვნები და დაწესებულება აყმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს და დააზუსტა, თუ რამდენ მერხს და შესაბამის სკამს ფლობდა დაწესებულება.

ექსპერტის, ნონა ზუმბაძის, განცხადებით, დაწესებულებას თავისუფლად შეეძლო 200 პროფესიული სტუდენტის ერთდროულად განთავსება.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მათ თავისუფლად შეეძლოთ 242 სტუდენტის ერთდროულად განთავსება.

ექსპერტმა, დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ საავტორიზაციო განაცხადში წარმოდგენილი პროფესიული პროგრამებიდან ორი მათგანი წარმოდგენდა მეორე საფეხურის ინტერნეტტექნოლოგიის (ვებსპეციალისტის) და კომპიუტერული გრაფიკოსის პროფესიულ პროგრამებს. ამასთან, დასძინა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 28 ივნისის N206 ბრძანებით დამტკიცდა პროფესიული სტანდარტები, კერძოდ, მე-16 და მე-17 დანართებით - ინტერნეტტექნოლოგიის (ვებსპეციალისტის) და კომპიუტერული გრაფიკოსის პროფესიული სტანდარტები. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ამ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს აღარ ჰქონდათ მე-2 საფეხური, ხოლო მე-3 საფეხურისათვის დადგენილი იყო ახალი მოთხოვნები.

ნონა ზუმბაძის განცხადებით, შპს - ბარაკონის მიერ 2013 წლის 15 ივლისს ცენტრში წარმოდგენილი იქნა ინტერნეტტექნოლოგიის (ვებსპეციალისტის) და კომპიუტერული გრაფიკოსის მე-3 საფეხურის მოდიფიცირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. ამასთან, მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 22 ივლისის N243 ბრძანებით შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი და

შემოწმდა მოდიფიცირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მათ შორის, შპს - ბარაკონის ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტის) და კომპიუტერული გრაფიკოსის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც შეესაბამებოდა მოქმედ სტანდარტებს.

ამდენად, ავტორიზაციის მიზნებისათვის შპს - ბარაკონის ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტის) და კომპიუტერული გრაფიკოსის მე-2 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მხედველობაში აღარ უნდა ყოფილიყო მიჩნეული.

საბჭოს წევრების მიერ დაზუსტდა ფართის ფლობის საკითხი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლმა განაცხადა, რომ შპს - ბარაკონი იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობდა შენობას, ხოლო ექსპერტის განცხადებით, მატერიალური რესურსი სრულად აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის 242-ით განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, კერძოდ, ინვენტარის რაოდენობით, შეძლებდა ამ რაოდენობის პროფესიულ სტუდენტთა მიღებას. ნონა ზუმბაძემ განაცხადა, რომ შპს - ბარაკონს, მისი მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, შეეძლო 242 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა ექსპერტთან, გამორიცხავდა თუ არა იგი, თუნდაც ტექნიკური ხარვეზების არსებობას საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტის, ნონა ზუმბაძის, განცხადებით, დასკვნაში არ იყო დაფიქსირებული რაიმე სახის შენიშვნა.

შპს - ბარაკონის წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა სასწავლო პროცესის განრიგი, ბადე, რომლითაც ადასტურებდა, რომ ცვლაში შეძლებდა სწავლების განხორციელებას და სტუდენტების განთავსებას.

საბჭომ იმსჯელა შპს - ბარაკონის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ბარაკონის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 242-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

საბჭოს წევრმა, კახაბერ ერაძემ, განაცხადა, რომ საბჭოს წევრები იცნობდნენ ავტორიზაციის საბჭოს არსებულ პრაქტიკას, რომლის თანახმადაც, საბჭო კონტინგენტის განსაზღვრის დროს ითვალისწინება დაახლოებით 4 კვ.მ. ფართს ერთ სტუდენტზე. მისი განცხადებით, აღნიშნული მიდგომით, დაწესებულებას არ განესაზღვრებოდა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 242-ით, არამედ - შედარებით ნაკლები. თუმცა, საბჭომ, აგრეთვე, არ გაიზიარა ავტორიზაციის საბჭოს არსებულ პრაქტიკა და მხედველობაში მიიღო

დაწესებულების ორცვლიანი სწავლება. სწორედ, ამ უკანასკნელის გათვალისწინებით, საბჭომ განაცხადა თანხმობა ზღვრული რაოდენობის 242-ით განსაზღვრაზე.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ბარაკონის (საიდენტიფიკაციო კოდი: 204877231) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 242-ით.

შენიშვნა: შპს - ბარაკონისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა: ჯუმბერ გაბრიელაშვილმა.

5. შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა დაწესებულებაში ვიზიტით მყოფი ექსპერტთა ჯგუფის წევრმა მაკა კაჭარავამ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებზე.

ექსპერტის, მაკა კაჭარავას, განცხადებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული არ იყო შენიშვნები და დაწესებულება აყმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები ფუნქციონირებდა მიღევად რეჟიმში, თუმცა აღნიშნული პროცედურით დამატებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპირებდა დაწესებულება პროფესიულ სტუდენტთა მიღებას.

საბჭოს წევრმა, ჯუმბერ გაბრიელაშვილმა, დააზუსტა დაწესებულების შენობის ფართის მოცულობა და კომპიუტერების რაოდენობა, რაზეც საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაწესებულება ფლობდა 658 კვ.მ. ფართის შენობას და 35 კომპიუტერს.

საბჭოს წევრმა, ჯუმბერ გაბრიელაშვილმა, კითხვით მიმართა საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენელს, იყო თუ არა რომელიმე საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებული.

შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამები არ ჰქონდა აკრედიტებული, რადგან აკრედიტაციის პროცესი და სტანდარტების დაკმაყოფილება მეტ სირთულესთან იყო დაკავშირებული.

საბჭომ იმსჯელა შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404903565) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განხორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	კრიმინალისტი	მესამე	კრიმინალისტის III საფ. პროფ. კვალიფიკაცია	60

შენიშვნა: შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხს მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა: ჯუმბერ გაბრიელაშვილმა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 23:17 საათზე.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე

